ურთიერთგაგების მემორანდუმი

საქართველოში სისხლის უსაფრთხოების ეროვნული სამსახურის გაუმჯობესების სფეროში თანამშრომლობის შესახებ

ერთის მხრივ, არასამთავრობო ორგანიზაცია "გლობალ ჰილინგი" (შემდგომში – გლობალ ჰილინგი), წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ლუკ იფლანდის სახით;

მეორეს მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (შემდგომში - სამინისტრო), წარმოდგენილი მინისტრის - დავით სერგეენკოს სახით;

სსიპ ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი (შემდგომში - დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი) წარმოადგენილი გენერალური დირექტორის – ამირან გამყრელიძის სახით;

სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო" (შემდგომში რეგულირების სააგენტო), წარმოდგენილი უფროსის – გია თვალავაძის სახით.

მესამეს მხრივ, ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის სისხლის ბანკი, წარმოდგენილი მისი დირექტორის ლევან ავალიშვილის სახით,

შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც "მხარეები", თანხმდებიან, რომ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს "გლობალ ჰილინგს", დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრსა და ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის სისხლის ბანკს შორის 2011 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ მემორანდუმზე დამატებას, რომელიც განავრცობს სახელმწიფო უწყებების ჩართულობის ფარგლებს და აზუსტებს მხარეების კომპეტენციებს, უფლებამოსილებებსა და მათ მიერ გასატარებელ ღონისძიებებს.

მხარეები კიდევ ერთხელ ადასტურებენ მიზნებს, ამოცანებს, მოვალეობებსა და მხარდაჭერას, რომელიც გამომდინარეობს 2011 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმიდან. წინამდებარე მემორანდუმის შესრულება უკავშირდება 2011 წლის 3 აგვისტოს გაფორმებულ მემორანდუმს და განიხილება მასთან ერთობლიობაში საქართველოში სისხლის უსაფრთხოების გაუმჯობესების პროექტის მიზნით (შემდგომში -„პროექტი").

პროექტის ძირითადი მიზანია, განსაზღვროს, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ მხარეებმა იმისათვის, რომ შექმნან და შეინარჩუნონ პოლიტიკის, გაიდლაინებისა და კანონმდებლობის იურიდიული ჩარჩოები, ასევე - ყოველგვარი საჭირო ინფრასტრუქტურა, ბიუჯეტი და ადამიანური რესურსები, რათა ხელი შეუწყონ მდგრადი და ეფექტური მარეგულირებელი სისტემის შექმნას, რომელიც პასუხისმგებელი იქნება უზრუნველყოს სისხლისა და სისხლის პროდუქტების შეგროვების, შენახვის, ტრანსპორტირების, ტესტირების, დამუშავების, წარმოებისა

და/ან გადასხმის საშუალებებისა და სერვისების შესაბამისობა მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის, ამერიკის სისხლის ბანკის ასოციაციის და/ან ევროკავშირის მიერ აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებთან (შემდგომში – "მარეგულირებელი სისტემა").

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანია: 1) განმარტოს თითოეული მხარის ორგანიზაციული სტრუქტურა და მოვალეობები, რაც აუცილებელია მარეგულირებელი სისტემის მხარდაჭერისთვის, როგორც ეს პირველ დანართშია აღწერილი; და 2) ოფიციალურად აღიაროს მე-2 დანართში მოცემული პროგრამის ვადების გრაფიკი და მისაწოდებელი მასალები;

მუხლი 2. განხორციელების ვადა

წინამდებარე მემორანდუმის თანახმად, მხარეები გააგრძელებენ აქტიურ თანამშრომლობას ამ მემორანდუმის №2 დანართში მოცემული ღონისძიებების დასრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2016 წლის თებერვლისა.

მუხლი 3. მხარეთა კომპეტენციები და უფლებამოვალეობები

2011 წლის 3 აგვისტოს მემორანდუმით განსაზღვრული კომპეტენციებისა და უფლება-მოვალეობების გარდა, მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

1. "გლობალ ჰილინგი"

1.1. უზრუნველყოფს კვალიფიციური სპეციალისტების საქართველოში ვიზიტის ორგანიზებასა და დაფინანსებას პროექტის წარმატებით განხორციელებისთვის საჭირო ტრენინგების ჩატარების მიზნით.

1.2. წარმოადგენს კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების, სისხლის ბანკებისა და სისხლის გადასხმის სამსახურების მუშაობის სტანდარტების საწყის სამუშაო პროექტებს ინგლისურ ენაზე, ასევე - შეფასების საშუალებებს, რომლებიც შემდგომ განიხილება საქართველოს სამუშაო ჯგუფის მიერ რედაქტირებისა და დამტკიცების მიზნით.

2. **საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო**

2.1. მიმართავს ყველა შესაძლო საშუალებას ყველა აუცილებელი სამართლებრივი პოლიტიკის, ინფრასტრუქტურის, ბიუჯეტისა და ადამიანური რესურსების გათვალისწინებით, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და რეგულირების სააგენტოს მიმართ, მდგრადი და ეფექტური მარეგულირებელი სისტემის დანერგვის მხარდასაჭერად, საერთაშორისოდ აღიარებული გაიდლაინების, მათ შორის, სისხლის ბანკების და სისხლის გადასხმის სამსახურების საქმიანობის სტანდარტებისა და სისხლისა და სისხლის პროდუქტების კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების შესაბამისად.

2.2. შეიმუშავებს მარეგულირებელ მექანიზმებს, რომელიც რეგულირების სააგენტოს შეუქმნის სამართლებრივ საფუძვლებს, ინსპექტირება/შემოწმების ფუნქციის შესრულებისას შესაბამისობაში იყოს საერთაშორისოდ მიღებულ სტანდარტებთან. ხელს შეუწყობს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს მაკორეგირებელი ღონისძიებების, განათლებისა და ტრენინგის, სტატისტიკური ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის, ასევე აღნიშნულთან დაკავშირებული სხვა ქმედებების კოორდინირებაში.

2.3. მუდმივ რეჟიმში უზრუნველყოფს მარეგულირებელ სისტემასთან დაკავშირებული სამართლებრივი პოლიტიკისა და პროცესების გადახედვასა და ანალიზს ადგილობრივი და/ან საერთაშორისო ექსპერტების კვალიფიცირებული ჯგუფის მეშვეობით.

3. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი

3.1. მასპინძლობს სისხლის უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისგან დაკომპლექტებულ სამუშაო ჯგუფს ეროვნული სისხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული, განსაკუთრებით - ეროვნული დონორების დაკომპლექტებისა და ეროვნული მარეგულირებელი სისტემის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხების მიმოხილვისა და ანალიზის მიზნით.

3.2. ატარებს და/ან კოორდინირებას უწევს საკმარისი ოდენობის ტრენინგებს, რათა უზრუნველყოფილ იქნას სისხლის ბანკებისა და სისხლის გადასხმის სამსახურების შესაბამისობა მათი საქმიანობის მარეგულირებელ ეროვნულ სამართლებრივ პოლიტიკასთან.

4. რეგულირების სააგენტო:

4.1. ამოწმებს სისხლის ცენტრებს და ჰოსპიტალურ ტრანსფუზიოლოგიურ სამსახურებს სისხლის გადასხმის ეროვნულ პოლიტიკასთან შესაბამისობაზე, შემოწმების დროისათვის არსებული წესებისა და მარეგულირებელი ნორმების თანახმად. შემოწმების სიხშირე, მოცულობა და მასშტაბები განსაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

4.2. ცვლის შემოწმებების მეთოდოლოგიას ახალი მარეგულირებელი პოლიტიკის შესაბამისად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ახალ შეფასების საშუალებებს, გაუმჯობესებულ ანგარიშგების გაიდლაინებსა და ვადების გრაფიკს, ასევე - საზოგადოებრივი ჯანდაცვის სხვა სამსახურებთან თანამშრომლობას.

5. ჯო ენის სამედიცინო ცენტრის სისხლის ბანკი:

5.1 უზრუნველყოფს წინამდებარე მემორანდუმისა და 2011 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმის მიზნების, ამოცანების, ვალდებულებების შესრულებასა და აქტიურ მხარდაჭერას.

6. მხარეები თანხმდებიან შემდეგზე:

“გლობალ ჰილინგი”, რეგულირების სააგენტო, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი და სამინისტრო იმუშავებენ ერთობლივად, რათა უზრუნველყონ

საქართველოში ეროვნული სისხლის გადასხმის სამსახურების უსაფრთხოება და საიმედოობა. ყოველი მხარე იზიარებს, რომ წინამდებარე დამატებით წარმოდგენილი ამოცანები მიმართულია მხოლოდ საქართველოში არსებულ გადაუდებელ საჭიროებებზე და ეროვნული სისხლის გადასხმის სამსახურებთან დაკავშირებული გრძელვადიანი მიზნები განსაზღვრულ უნდა იქნას, თუმცა არა - განხორციელებული, წინამდებარე დამატების ვადის დასრულებამდე.

მუხლი 4. მემორანდუმის დასკვნითი დებულებები და სხვა საკითხები

1. ყოველი მხარე აღიარებს, რომ წინამდებარე მემორანდუმი ავსებს და არ ცვლის 2011 წლის 3 აგვისტოს მემორანდუმს.
2. "გლობალ ჰილინგის" მხრიდან წინამდებარე და 2011 წლის 3 აგვისტოს მემორანდუმით გათვალისწინებული აქტიური დახმარება დასრულდება ამ მემორანდუმის №2 დანართში მოცემული გრაფიკით გათვალისწინებული ვადის დასრულებისას, მაგრამ არა უგვიანეს 2016 წლის თებერვლისა. აქტიური დახმარების დასრულების შემდეგ, "გლობალ ჰილინგი" უზრუნველყოფს დისტანციურ კონსულტირებას და რესურსებს რეგულირების სააგენტოს, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და სამინისტროსათვის მარეგულირებელ სისტემასთან დაკავშირებით.
3. წინამდებარე პროექტის განხორციელება არ ითვალისწინებს მომავალში "გლობალ ჰილინგის" მიერ რაიმე სახის ფინანსურ, ტექნიკურ ან სხვა სახის დახმარებას რომელიმე მხარის მიმართ.
4. წინამდებარე მემორანდუმი ძალაში შედის ყველა მხარის მიერ მისი ხელმოწერისთანავე.
5. მემორანდუმის მიმართ გამოიყენება საქართველოს კანონმდებლობა.
6. მემორანდუმი შედგენილია 5 (ხუთი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე დედნად, თითოეული ქართულ და ინგლისურ ენებზე. თითოეული ტექსტი თანაბრად აუთენტურია. შეთანხმების დებულებათა განსხვავებული განმარტების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ტექსტს ინგლისურ ენაზე.

[ხელმოწერის გვერდი ახლავს]

მხარეთა რეკვიზიტები:

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144
ელ-ფოსტა: moh@moh.gov.ge

_____
დავით სერგეენკო
მინისტრი

თარიღი: 10.02.2014

გლობალ ჰილინგ
აშშ, კალიფორნიის შტატი 94704, ბერკლი, შატუკის გამზირი 2140, ოთახი 203.
ტელეფონი: +1 (510) 898-1859
ფაქსი: +1 (510) 280-5365
ელ-ფოსტა: contact@globalhealing.org

_____
ლუკ იფლანდი
პრეზიდენტი

თარიღი: 8-4-2014

სსიპ "ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი"
საქართველო, თბილისი, 0177, მ. ასათიანის ქ. №9
ელ-ფოსტა: a.gamkrelidze@ncdc.ge

_____
ამირან გამყრელიძე
გენერალური დირექტორი

თარიღი: 09.02.2014

ჯო ენის სამედიცინო ცენტრის სისხლის ბანკი

საქართველო, თბილისი, 0159, ლუბლიანას ქ. №21

ელ-ფოსტა: levanavali@gmail.com

_____
ლევან ავალიშვილი
დირექტორი

თარიღი: 09.02.2014

სსიპ "სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო"
საქართველო, თბილისი 0119, აკ. წერეთლის გამზირი №144
ელ-ფოსტა: gtvalavadze@moh.gov.ge

_____
გია თვალავაძე
სააგენტოს უფროსი

თარიღი: 09.02.2014

საორგანიზაციო სტრუქტურა და პასუხისმგებლობა



<u>შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:</u>

- უფლებამოსილების მინიჭება დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრისა და რეგულირების სააგენტოსთვის სისხლის უსაფრთხოებასთან დაკავშირებული მარეგულირებელი კანონმდებლობის, მათ შორის, გაიდლაინებისა და პროტოკოლების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით ყველა საჭირო ღონისძიების გასატარებლად, აუცილებელი რესურსების უზრუნველყოფის გზით.
- სამუშაო ჯგუფის შექმნა.

<u>რეგულირების სააგენტო:</u>

- სისხლის გადასხმის ცენტრების, ლაბორატორიებისა და ჰოსპიტალური ტრანსფუზიოლოგიური სერვისების შემოწმება იმ წესებისა და მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც შემოწმების დროისათვის იქნება აღიარებული/დანერგილი;
- მიღებული შედეგების სამინისტროსათვის და შემოწმებული ობიექტებისათვის მიწოდება. მაკორეგირებელი ღონისძიებების შესახებ წინადადებების შემუშავება.

<u>დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი:</u>

- სისხლის გადასხმის სახელმწიფო პროგრამების კოორდინირება და დაგეგმვა;
- სისხლის დონორთა ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ეროვნული კამპანიების ჩატარება და დონორთა დაკომპლექტების ხელშეწყობა;
- ეპიდემიოლოგიური მონაცემების შეგროვება, ანალიზი და ინტერპრეტირება მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღების მიზნით;

- ტრენინგის ჩატარება სისხლის ბანკებისა და ჰოსპიტალური ტრანსფუზიოლოგიური სერვისებისთვის, ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობის ხელშეწყობის მიზნით;
- მაკორეგირებელი და პრევენციული ღონისძიებების სამოქმედო გეგმების მომზადება ეპიდემიოლოგიური ზედამხედველობისა და დაწესებულებების შემოწმებების საფუძველზე.

<u>სამუშაო ჯგუფი</u>

- უზრუნველყოფს უკუკავშირს და ახდენს ეროვნული პოლიტიკის, გაიდლაინებისა და სხვა სამართლებრივი დოკუმენტების, ასევე "გლობალ ჰილინგის" მიერ წარმოდგენილი ტექნიკური კონსულტაციების რედაქტირებას.

დანართი 2
პროგრამის განხორციელების ვადები

2014 წელი
თებერვალი

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს ეროვნულ დონეზე დონორთა დაკომპლექტების მიზნით.
2. "გლობალ ჰილინგი": აგზავნის შესაბამისი დოკუმენტაციის ქართულენოვან ვერსიებს ეროვნული და ინსტიტუციური ხარისხის მართვისთვის ტრენინგის მონაწილეთათვის (მაგალითად, ISO);
3. საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი, ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი: აფერეზის მოხმარების საგნებისთვის მიწოდების ჯაჭვის დასრულება.

2014 წელი
თებერვალი

<u>შუალედური ამოცანები</u>

1. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებულ მონაცემებს "გლობალ ჰილნგის" მიერ შემუშავებული ინსტრუმენტის მეშვეობით.
3. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი: აფუძნებს ჰოსპიტალური სისხლის გადასხმის კომისიას;
4. "გლობალ ჰილინგი": დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს წარუდგენს სისხლის ბანკებისა და სისხლის გადასხმის სამსახურების საქმიანობის სტანდარტებს. წარადგენს რეგულირების სააგენტოს მიერ გამოსაყენებელ შეფასების ინსტრუმენტს.

<u>სასწავლო ვიზიტი №1 საქართველოში</u>

თებერვალი

1. "გლობალ ჰილინგი": უზრუნველყოფს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის ტრენინგს აფერეზის შესაგროვებელი საშუალებების ექსპლუატირებისა და შენარჩუნების მიზნით. უზრუნველყოფს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის ტრენინგს ხარისხის პრინციპებისა და შიდა აუდიტის საკითხებზე და როგორ უნდა მოხდეს ხარისხის გაუმჯობესებისკენ მიმართული გეგმების შემუშავება; ატარებს შიდა აუდიტს შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით; განაგრძობს სახელმწიფო რეგულირების სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის თანამშრომლების ტრენინგს ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემების შესახებ; ატარებს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის წინასწარ გარე აუდიტს შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. ხვდება

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს სამედიცინო განათლების სფეროში თანამშრომლობის განხილვის მიზნით; შეიმუშავებს სისხლის გადასხმის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტის პროექტს ამოცანის, ხედვის, ვადებისა და მისაწოდებელი მასალის გათვალისწინებით დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად.

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: აწყობს სამუშაო ჯგუფთან შეხვედრას საქმიანობის სტანდარტებისა და შეფასების ინსტრუმენტების გადახედვის, შინაარსის განხილვისა და უკუკავშირის უზრუნველყოფის მიზნით.

<u>შუალედური ამოცანები</u>

მარტი

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: გადაამუშავებს სამუშაო ჯგუფის მიერ წარმოდგენილ მონაცემებს საქმიანობის სტანდარტების თაობაზე და წარუდგენს სამინისტროს.

2. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი: შიდა აუდიტის შემდეგ შეფასების ინსტრუმენტების შესახებ მონაცემებს წარუდგენს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრს, შეიმუშავებს ხარისხის გაუმჯობესების გეგმებს და გაუზიარებს "გლობალ ჰილინგს".

აპრილი

1. სამუშაო ჯგუფი: გადახედავს კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინებს, განიხილავს შინაარსს და უზრუნველყოფს უკუკავშირს დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან.

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: გადაამუშავებს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრიდან მიღებულ მონაცემებს შეფასების ინსტრუმენტების თაობაზე და წარუდგენს სამინისტროს.

<u>საწავლო ვიზიტი №2</u>

მაისი

1. "გლობალ ჰილინგი": ატარებს 2-დღიან სიმპოზიუმს საქმიანობის ეროვნულ სტანდარტებზე; განიხილავს სისხლის გადასხმის ცენტრებიდან სახელმწიფო უწყებების მიმართ წარდგენილ ანგარიშებს სისხლის გადასხმის ცენტრებიდან ანგარიშგების ჰარმონიზების გაუმჯობესების საკითხებზე წინადადებების წარდგენის მიზნით; შეიმუშავებს შემოწმების ანგარიშგების გაიდლაინებს რეგულირების სააგენტოსა და დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან ერთად; აგზავნის დონორთა დაკომპლექტების სპეციალისტს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის დონორთა დაკომპლექტების თანამშრომლებთან სისხლის დონორთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით სტრატეგიის შემუშავების მიზნით; ადგენს დონორთა

დაკომპლექტების ღონისძიებების კალენდარს დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისთვის; წარმოადგენს მონაცემთა ბაზის შესახებ გადაწყვეტილებებს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრში დონორთა დაკომპლექტებისთვის.

<u>შუალედური ამოცანები</u>

ივნისი

1. რეგულირების სააგენტო და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი (კომპეტენციის ფარგლებში): მიმართავს ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყოს დანერგვის ეტაპზე მყოფი მარეგულირებელი ნორმების (საერთაშორისო სტანდარტები, გაიდლაინები და ა.შ.) გამოყენება ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის ბაზაზე. მიღებული შედეგების შესახებ ანგარიშს აწვდის სამუშაო ჯგუფს.
2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: უზრუნველყოფს სისხლის ჩაბარებისა და სისხლის დონორთა მსოფლიო დღისთვის მიძღვნილი ღონისძიებების კოორდინირებას.

ივლისი

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: გადაამუშავებს კლინიკური პრაქტიკის გაიდლაინების შესახებ სამუშაო ჯგუფისგან მიღებულ მონაცემებს და წარუდგენს სამინისტროს.
2. "გლობალ ჰილინგი": აგზავნის პროტოკოლებს თრომბოციტების გამოყენებისა და სისხლთან დაკავშირებული გადაუდებელი მოთხოვნების შესახებ.
3. სამუშაო ჯგუფი: ახდენს ადგილობრივ უწყვეტ სამედიცინო განათლებასთან დაკავშირებული შესაძლებლობების იდენტიფიცირებას და განიხილავს აკრედიტაცია/სერტიფიცირების საკითხებს. "გლობალ ჰილინგს" უგზავნის ინგლისურ ენაზე შედგენილ უფლებამოსილებების განმსაზღვრელ დოკუმენტს გაუმჯობესებისკენ მიმართულ სხვა დამატებით წინადადებებთან ერთად.

სექტემბერი

1. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი: უზრუნველყოფს უკუკავშირს თრომბოციტების გამოყენებასთან დაკავშირებულ საშუალებებსა და გადაუდებელი შემთხვევის მართვაზე. "გლობალ ჰილინგს" წარუდგენს ინგლისურ ენაზე შედგენილ ტრანსფუზიოლოგიის კურიკულუმის მონახაზს.
2. სამუშაო ჯგუფი: განიხილავს და გაითვალისწინებს "გლობალ ჰილინგის" წინადადებებს დოკუმენტებისა და გაიდლაინების ანგარიშგების ჰარმონიზებასთან დაკავშირებით.
3. "გლობალ ჰილინგი": განიხილავს და თავის წვლილს

შეიტანს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი აკრედიტაცია/სერტიფიცირებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების საკითხებში

<u>სასწავლო ვიზიტი №3</u>

ოქტომბერი

1. "გლობალ ჰილინგი": აგზავნის ხარისხის მართვის სპეციალისტებს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის, საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკისა და დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის პერსონალისთვის ინდივიდუალური ტრენინგის ჩატარების მიზნით, რომელიც ორიენტირებულია ივნისის მოდელირების შედეგად გამოვლენილ საჭიროებებზე; განიხილავს სისხლის გადასხმის ცენტრებისთვის ანგარიშგების ჰარმონიზების საკითხებს; შეამოწმებს ჰოსპიტალურ სისხლის გადასხმის კომისიას ჯო-ენის სამედიცინო ცენტრში; განიხილავს თრომბოციტების გამოყენებისა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის გაუმჯობესების შესაძლებლობებს სისხლის 3 ძირითად მომხმარებელზე; სამუშაო ჯგუფთან ერთად განიხილავს აკრედიტაცია/სერტიფიცირებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების საკითხს.
2. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი: ქმნის სისხლის გადასხმის კომისიას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მითითებულ საავადმყოფოში.

<u>შუალედური ამოცანები</u>

ნოემბერი-დეკემბერი

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: მიზანი - სისხლის ეროვნული შეგროვების 10% სისხლის ნებაყოფლობითი უანგარო დონაციით.

2. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: უზრუნველყოფს 3 სისხლის ცენტრის (გარდა ჯო-ენის სამედიცინო ცენტრისა და საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკისა) წინასწარ შეფასებებს და ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების (SWOT) ანალიზს.
3. "გლობალ ჰილინგი": ადგენს კურიკულუმის პროექტს თრომბოციტების გამოყენებასა და გადაუდებელი შემთხვევის მართვასთან დაკავშირებით, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მიერ შემდგომი განხილვის მიზნით.
4. სამინისტრო/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: წარმოადგენს ჰარმონიზებული ანგარიშგების გაიდლაინების დოკუმენტაციას.
5. "გლობალ ჰილინგი": უზრუნველყოფს წინადადებებს

სისხლის გადასხმის სამსახურის პერსონალის სერტიფიცირებასთან დაკავშირებით.

6. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: წარადგენს მონიტორინგისა და შეფასების (M&E) შედეგად მიღებულ მონაცემებს "გლობალ ჰილინგის" მიერ შემუშავებული ინსტრუმენტის მეშვეობით.

2015 წელი

შუალედური ამოცანები

იანვარი – მარტი

1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი/ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი: შეიმუშავებს სასწავლო პროგრამას სისხლის გადასხმის სხვა ცენტრებისთვის და განსაზღვრავს შესაბამის ვადებს, ეროვნულ დონეზე დონორთა დაკომპლექტებისა და ხარისხის მართვის კომისიების შექმნის მიზნით. შეიმუშავებს გეგმას საავადმყოფოებისთვის სისხლის გადასხმის კომისიების შექმნის მიზნით.

2. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი: გადახედავს და აანალიზებს ხარისხის გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ გეგმებს ყოველწლიური პროგრესის საფუძველზე და წარუდგენს "გლობალ ჰილინგს".

3. "გლობალ ჰილინგი": ქმნის სასწავლო მასალებს, სამუშაო სახელმძღვანელოს თრომბოციტების გამოყენებასა და გადაუდებელი შემთხვევების მართვასთან დაკავშირებით.

4. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი: "გლობალ ჰილინგთან" თანამშრომლობის ფორმატში განიხილავს "გლობალ ჰილინგის" კურიკულუმის პროექტს თრომბოციტების გამოყენებასა და გადაუდებელი შემთხვევების მართვასთან დაკავშირებით და უზრუნველყოფს უკუკავშირს "გლობალ ჰილინგთან".

სასწავლო ვიზიტი №1

მარტი

1. "გლობალ ჰილინგი": უზრუნველყოფს სხვა სისხლის ცენტრების პერსონალის პარალელურ ტრენინგს საქართველოს ცენტრალურ სისხლის ბანკსა და ჯო-ენის სამედიცინო ცენტრთან ერთად ხარისხის მართვასა და დონორების დაკომპლექტების საკითხებზე; განაგრძობს რეგულირების სააგენტოს პერსონალის ტრენინგს ეროვნული სისხლის გადასხმის სამსახურის რეგულირების საკითხებზე; წარმოადგენს ინფორმაციას თრომბოციტების გამოყენებისა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის შესახებ; წარმოადგენს თრომბოციტების გამოყენებასა და სისხლის გადაუდებელი მოთხოვნის შემთხვევაში მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს; აწყობს მხარეების შეხვედრას

პერსონალის სერტიფიცირებისა და უწყვეტი სამედიცინო განათლების საკითხებზე.

<u>შუალედური ამოცანები</u>

აპრილი-მაისი 1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: ატარებს დაწესებულებების "უსაფრთხო სისხლის" სახელმწიფო პროგრამით ნაკისრი ვალდებულებების წლიურ მონიტორინგს; ანგარიშს წარუდგენს "გლობალ ჰილინგს"

ივნისი 1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: კოორდინირებას უწევს სისხლის ჩაბარებასა და სისხლის დონორთა მსოფლიო დღისთვის მიძღვნილ ღონისძიებებს; უგზავნის ანგარიშს "გლობალ ჰილინგს".

ივლისი-სექტემბერი 1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი/ სამინისტრო: უზრუნველყოფს პროგრამის მძლავრი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირებას საბოლოო ერთობლივი შეფასების მიზნით.

<u>სასწავლო ვიზიტი №2</u>

ოქტომბერი 1. "გლობალ ჰილინგი": განაგრძობს რეგულირების სააგენტოს პერსონალის ტრენინგს ეროვნული სისხლის გადასხმის სამსახურის რეგულირების საკითხებზე; განაგრძობს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრისა და საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკის ტრენინგს ხარისხის მართვის საკითხებზე; ქმნის ჰოსპიტალურ სისხლის გადასხმის კომისიას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მიერ მითითებულ საავადმყოფოში; უგზავნის დასრულებულ სამედიცინო კურიკულუმს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს ინსტიტუციონალიზაციის მიზნით; უზრუნველყოფს "გლობალ ჰილინგის" მოწვეული ექიმის მიერ ჩატარებულ ლექციას თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში თრომბოციტების გამოყენებასა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის საკითხებზე; უზრუნველყოფს მხარეების შეხვედრას თრომბოციტების გამოყენების, გადაუდებელი შემთხვევებისა და მასიური სისხლის გადასხმის საკითხებზე.

<u>შუალედური ამოცანები:</u>

ნოემბერი-დეკემბერი 1. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: მიზანი - სისხლის ეროვნული შეგროვების 25% სისხლის ნებაყოფლობითი უანგარო დონაციით.

2. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი: განსაზღვრავს ვადასა და გეგმას თრომბოციტების

		გამოყენებისა და გადაუდებელი შემთხვევების მართვის საკითხებზე კურიკულუმისა და სამედიცინო მასალების ჩართვის მიზნით. 3. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი: წარმოადგენს მონიტორინგისა და შეფასების (M&E) შედეგად მიღებულ მონაცემებს "გლობალ ჰილინგის" მიერ შემუშავებული ინსტრუმენტის მეშვეობით.
2016 წელი	***ვიზიტი №1*** **თებერვალი**	1. "გლობალ ჰილინგი": ატარებს ჯო-ენის სამედიცინო ცენტრის, საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკის, დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრისა და რეგულირების სააგენტოს ტრენინგში მონაწილე პერსონალის კომპეტენციისა და პროფესიონალური ცოდნის დონის ტესტირებას. 2. ჯო-ენის სამედიცინო ცენტრი/საქართველოს ცენტრალური სისხლის ბანკი/დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრი/რეგულირების სააგენტო: უზრუნველყოფს უკუკავშირს, წარუდგენს საბოლოო მოთხოვნებს "გლობალ ჰილინგის" მიმართ. 3. "გლობალ ჰილინგი": აწყობს შეხვედრას ჯო-ენის სამედიცინო ცენტრთან, საქართველოს ცენტრალურ სისხლის ბანკთან, დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრთან, სამინისტროსა და რეგულირების სააგენტოსთან მიღწეული შეეგების განსახილველად და მომავალში ოფიციალური ანგარიშის წარმოდგენასთან დაკავშრებით.